

შპს "გარდაბნის თბოსადგური"

2024 წლის
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10



შპს "KPMG Georgia"

მე-5 სართული, GMT პლაზა

მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედანი N4 (ნაკვეთი 66/4)

თბილისი, საქართველო 0105

IN 404437695

ტელეფონი +995 322 93 5713

ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ მესაკუთრეს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს აღრიცხვის სტანდარტები) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარემართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ -ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობა ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ საქართველოში ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშზე. ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს.

ჩვენი პასუხისმგებლობა, ჩვენ მიერ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, მოიცავს ზემოთ ხსენებული მმართველობითი ანგარიშის გაცნობას და განსაზღვრას, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

ჩვენ არ გავცემთ არანაირი სახის მარწმუნებელ დასკვნას მმართველობითი ანგარიშის შესახებ. მმართველობითი ანგარიშის გაცნობის შემდეგ და ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად, ჩვენ გამოვთქვამთ აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ მმართველობითი ანგარიში:

- შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და არ შეიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს აღრიცხვის სტანდარტები) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებულებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებითი უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა

- რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი კომპანია.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ნინო ჩიხლაძე

- რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი კომპანია.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ნინო ჩიხლაძე



შპს "KPMG Georgia"
2 ივნისი 2025 წელი

შპს "გარდაზნის თბოსადგური"
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	323,374	338,477
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები		5,041	5,265
გრძელვადიანი აქტივები		328,415	343,742
მარაგები		7,037	3,343
მოკლევადიანი საგადასახადო აქტივი		662	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14(b)(i)	40,039	40,497
გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები		14	10
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	43,730	8,303
მოკლევადიანი აქტივები		91,482	52,153
სულ აქტივები		419,897	395,895
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		175,184	175,184
გაუნაწილებელი მოგება		201,958	135,471
სულ კაპიტალი	10	377,142	310,655
ვალდებულებები			
გაცემული გარანტია	12	12,623	17,828
გადასახდელი დივიდენდი	10	3,069	50,033
მოკლევადიანი საგადასახადო ვალდებულება		-	38
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	27,063	17,341
მოკლევადიანი ვალდებულებები		42,755	85,240
სულ ვალდებულებები		42,755	85,240
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		419,897	395,895

შპს "გარდაბნის თბოსადგური"
2024 წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	5	242,944	192,524
გაზის თვითღირებულება		(134,978)	(84,005)
საერთო მოგება		107,966	108,519
ცვეთა	8	(26,960)	(25,219)
პერსონალის ხარჯები		(11,501)	(9,910)
საეაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	14(b)(i)	(3,916)	(715)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		(3,328)	(3,538)
სხვა ხარჯები	6	(4,771)	(4,998)
სხვა შემოსავალი		1,246	759
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		58,736	64,898
ფინანსური შემოსავალი		7,780	9,458
ფინანსური ხარჯები		(29)	(3,023)
წმინდა ფინანსური შემოსავალი	7	7,751	6,435
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		66,487	71,333
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		66,487	71,333

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 2 ივნისს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

თამაზ დემინაშვილი
გენერალური დირექტორი

დავით ჯაჯანიძე
ფინანსური დირექტორი

შპს "გარდაბნის თბოსადგური"
2024 წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	5	242,944	192,524
გაზის თვითღირებულება		(134,978)	(84,005)
საერთო მოგება		107,966	108,519
ცვეთა	8	(26,960)	(25,219)
პერსონალის ხარჯები		(11,501)	(9,910)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	14(b)(i)	(3,916)	(715)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა		(3,328)	(3,538)
სხვა ხარჯები	6	(4,771)	(4,998)
სხვა შემოსავალი		1,246	759
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		58,736	64,898
ფინანსური შემოსავალი		7,780	9,458
ფინანსური ხარჯები		(29)	(3,023)
წმინდა ფინანსური შემოსავალი	7	7,751	6,435
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		66,487	71,333
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		66,487	71,333

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 2 ივნისს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:



თამაზ დემინაშვილი
გენერალური დირექტორი



დავით ჯაჯანიძე
ფინანსური დირექტორი

შპს "გარდაზნის თბოსადგური"
2024 წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს		175,184	122,595	297,779
მთლიანი სრული შემოსავალი				
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		-	71,333	71,333
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები				
მესაკუთრესთან				
დივიდენდები	10(b)	-	(58,457)	(58,457)
სულ პირდაპირ კაპიტალში ასახული				
ოპერაციები მესაკუთრესთან		-	(58,457)	(58,457)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს		175,184	135,471	310,655
 ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს		175,184	135,471	310,655
მთლიანი სრული შემოსავალი				
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		-	66,487	66,487
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს		175,184	201,958	377,142

შპს "გარდაბნის თბოსადგური"
2024 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		242,168	185,634
მომწოდებლებისა და დასაქმებულებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(154,224)	(103,226)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		87,944	82,408
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
მიღებული პროცენტი		2,689	3,156
ძირითადი საშუალებების შეძენა		(8,250)	(8,576)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(5,561)	(5,420)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან			
სესხების დაფარვა		-	(58,769)
გადახდილი პროცენტი		-	(3,006)
გადახდილი დივიდენდები		(46,917)	(23,701)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(46,917)	(85,476)
წმინდა მატება/(კლება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		35,466	(8,488)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს	9	8,303	16,792
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(39)	(1)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	9	43,730	8,303

შპს "გარდაბნის თბოსადგური"
2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა	გვერდი	შენიშვნა	გვერდი
1. ანგარიშვალდებული საწარმო	11	12. გაცემული გარანტია	18
2. აღრიცხვის საფუძველი	12	13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19
3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა	12	14. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა	19
4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება	13	15. პირობითი ვალდებულებები	25
5. შემოსავალი	14	16. დაკავშირებული მხარეები	26
6. სხვა ხარჯები	15	17. შეფასების საფუძველი	27
7. წმინდა ფინანსური შემოსავალი	15	18. არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ	27
8. ძირითადი საშუალებები	16	19. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული	35
9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	17		
10. კაპიტალი	17		
11. კაპიტალის მართვა	18		

1. ანგარიშვალდებული საწარმო

(a) ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად, კომპანიაზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის. რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის მიმდინარე სამხედრო კონფლიქტმა კიდევ უფრო გაზარდა გაურკვევლობა ბიზნეს გარემოში.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(b) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს „გარდაბნის თბოსადგური“, შემდგომში კომპანია, წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად. კომპანია დაარსდა სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ („სნგკ“, უმრავლესობის აქციონერი) და სს „საქართველოს განვითარების ფონდის“ (ყოფილი სს „საპარტნიორო ფონდი“) მიერ.

„კომპანიის“ იურიდიული მისამართია: დავით აღმაშენებლის ქუჩა 28, გარდაბანი 1301, საქართველო. კომპანიის რეგისტრაციის ნომერია: 404428071.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ა) სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორისთვის“ (შემდგომში „ესკო“) გარანტირებული სიმძლავრის მიწოდება და ბ) ელექტროენერგიის წარმოება და გაყიდვა. 2015 წლის 7 სექტემბერს, კომპანიამ მიიღო ელექტროენერგიის წარმოების უვადო ლიცენზია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისგან, შემდგომში სემეკი. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის #475 დადგენილებით, კომპანიას მიენიჭა გარანტირებული სიმძლავრის წყაროს სტატუსი 2040 წლის 1 ოქტომბრამდე.

2023 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიას სრულად ფლობდა სნგკ. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 ნოემბრით დათარიღებული დადგენილება 2167-ის მიხედვით, 2024 წლის 12 იანვარს, სს „საქართველოს განვითარების ფონდი“ (ყოფილი სს „საპარტნიორო ფონდი“) გახდა კომპანიის 21.7%-იანი წილის მფლობელი. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 7 დეკემბრით დათარიღებული დადგენილება 2254-ის მიხედვით, 2024 წლის 29 იანვარს სს „საქართველოს განვითარების ფონდმა“ სს „საქართველოს რკინიგზას“ („უმცირესობის აქციონერი“) გადასცა კომპანიის საკუთრებაში არსებული 21.7%-იანი წილი. შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია ფლობილია სნგკ-ს (78.3%) და სს „საქართველოს რკინიგზას“ (21.7%) მიერ.

უმრავლესობის და უმცირესობის აქციონერები აწარმოებენ საჯაროდ ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია მე-16 შენიშვნაში.

სემეკის მიერ მიღებული, 2020 წლის 11 აგვისტოთი დათარიღებული ელექტროენერგიის ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ დადგენილება N 46-ის თანახმად, საქართველოს და ევროპის ენერგეტიკული კანონმდებლობების ჰარმონიზაციის მიზნით, ქვეყანაში "საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა" დაარსდა და უკანასკნელი კორექტირებების მიხედვით, 2025 წლის 1 ივლისიდან, ენერგეტიკული საწარმოები ვალდებული არიან შეიძინონ და გაყიდონ ენერგია მხოლოდ "საქართველოს ენერგეტიკულ ბირჟაზე".

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ზემოთ აღწერილ ცვლილებებს კანონებსა და რეგულაციებში არ ექნებათ არსებითი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

2. აღრიცხვის საფუძველი

(a) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს აღრიცხვის სტანდარტები“) სრულ შესაბამისობაში.

(b) ფუნქციონირებადი საწარმო

2020 წელს, კომპანიამ მის მშობელ კომპანიაზე გასცა გარანტია EBRD-ისგან აღებული სესხისთვის 2024 წლის 31 დეკემბრისთვის სესხის დაუფარავი ოდენობით 430 მილიონი ლარი. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის, EBRD-ის სესხთან დაკავშირებული გარკვეული კოვენანტები იყო დარღვეული, რამაც გამსესხებელს მისცა სესხის მოთხოვნისთანავე დაფარვის მოთხოვნის უფლება, რომლის გარანტიაც კომპანია წარმოადგენს. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებით, რომელიც ხელმძღვანელობას მიაჩნია შესაბამისი, შემდეგი მიზეზების გამო:

- მშობელი კომპანიის ხელმძღვანელობა გამსესხებელთან მოლაპარაკებების პროცესშია, რათა მოიპოვოს უფლებაზე უარის თქმის დოკუმენტი დარღვეული სესხის კოვენანტებისთვის და სესხის თავდაპირველი გრაფიკის მიხედვით დაფარვისათვის. რადგან მშობელი კომპანია და მისი შვილობილი კომპანიები, შემდგომში „ჯგუფი“, საკმარისი ოდენობით ფულადი ნაკადების შემოდინებებს გამოიმუშავენ და სესხს შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით იხდის, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გონივრულად სარწმუნოა, რომ გამსესხებელი არ გამოიყენებს მის უფლებას მოითხოვოს დაუფარავი სესხის მთლიანი ოდენობის ნაადრევი დაფარვა.
- საქართველოს მთავრობამ გამოსცა მხარდაჭერის წერილი, რომელშიც ის აცხადებს, რომ ახლო მომავალში აქვს სურვილი უზრუნველყოს ფინანსური მხარდაჭერა, რაც აუცილებელია, რომ ჯგუფმა შეძლოს მისი საქმიანობის გაგრძელება. რადგან ჯგუფი საქართველოს მთავრობისთვის სტრატეგიულ მნიშვნელობას ატარებს, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ სესხის ნაადრევი დაფარვის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს ჯგუფის მხარდაჭერას, მანამ სანამ დაფინანსების ახალი წყარო არ იქნება მოძიებული.

ზემოაღნიშნულის მიხედვით, კომპანიის ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ არ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისაგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. შეფასებების გადახედვები აღიარებულია პერსპექტიულად.

ინფორმაცია იმ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული მსჯელობების შესახებ, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შენიშვნაში 18 (e)(iii) – ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს მსჯელობებთან, დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობები, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი ცვლილებების გამოწვევის მნიშვნელოვან რისკს ატარებენ.

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია შეძლებისდაგვარად იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს. სამართლიანი ღირებულება, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით, იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად:

- დონე 1: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივების ან ვალდებულებებისთვის.
- დონე 2: ამოსავალი მონაცემები აქტივის ან ვალდებულებისთვის, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შეტანილია 1-ელ დონეში, და რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- დონე 3: ამოსავალი მონაცემები აქტივის ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში, მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

კომპანია აღიარებს მოძრაობას სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის იმ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომლის დროსაც წარმოიშვება ცვლილება.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია შენიშვნაში 14 (a) - ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება.

5. შემოსავალი

(a) შემოსავლის წყაროები

'000 ლარი	2024	2023
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან:		
ელექტროენერგიის ტარიფი	135,408	84,195
გარანტირებული სიმძლავრის საფასური	107,536	108,329
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	242,944	192,524

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გარანტირებული სიმძლავრის მიწოდება და ელექტროენერგიის წარმოება და მიწოდება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე.

(b) სახელშეკრულებო ნაშთები

შემდეგი ცხრილი ასახავს ინფორმაციას მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებზე.

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
"სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში" შეტანილი მოთხოვნები	40,039	40,497

(c) შესასრულებელი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების პოლიტიკები

შემოსავალი ფასდება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული ანაზღაურების მიხედვით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც ის მომხმარებელს გადასცემს კონტროლს მომსახურებაზე/პროდუქტზე. შემდეგი ცხრილი მოიცავს ინფორმაციას კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შესასრულებელი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხასიათისა და ვადების შესახებ, მნიშვნელოვანი გადახდის პირობების და დაკავშირებული შემოსავლის აღიარების პოლიტიკების ჩათვლით:

შესასრულებელი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხასიათი და ვადები, მათ					
მომსახურების სახეობა	შორის მნიშვნელოვანი გადახდის პირობები	შემოსავლის აღიარების პოლიტიკა			
ელექტროენერგია	შესასრულებელი ვალდებულება დაკმაყოფილებულია მაშინ, როდესაც ელექტროენერგია მიწოდებულია და მოხმარებულია მომხმარებლის მიერ.	შემოსავალი განმავლობაში, მომხმარებლების ელექტროენერგიის მოცულობის და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი ტარიფების საფუძველზე. მოხმარებული ელექტროენერგიის აღრიცხვა ხდება მრიცხველებით.	აღიარდება	დროის	დროის
რეალიზაცია	ინვოისი გამოიწერება ყოველთვიურად. მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ანაზღაურება ხდება საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის ბოლომდე.	გარანტირებული სიმძლავრის ტარიფი განისაზღვრება სემეკის დადგენილებით.			
		2024 წელს, ფიქსირებული ყოველდღიური გადახდა ხორციელდება 290 დღის განმავლობაში (303 დღე 2023 წელს).			

6. სხვა ხარჯები

'000 ლარი	2024	2023
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	1,702	1,950
რეგულირების საფასური	729	578
კომუნალური ხარჯები	605	581
ტრანსპორტირება	298	259
დაზღვევის ხარჯები	29	109
სხვა	1,408	1,521
სულ სხვა ხარჯები	4,771	4,998

7. წმინდა ფინანსური შემოსავალი

'000 ლარი	2024	2023
აღიარებული მოგებაში ან ზარალში		
საპროცენტო შემოსავალი ეფექტური პროცენტის მეთოდის მიხედვით	2,821	3,156
გაცემული გარანტიის ამორტიზებული ღირებულების ცვლილება	4,959	5,267
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა	-	1,035
ფინანსური შემოსავალი	7,780	9,458
საპროცენტო ხარჯი ამორტიზებული ღირებულებით	-	(3,023)
შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე	(29)	-
სესხებსა და კრედიტებზე დარიცხული ჯარიმა	(29)	(3,023)
ფინანსური ხარჯები	(29)	(3,023)
მოგებაში ან ზარალში აღიარებული წმინდა ფინანსური შემოსავალი	7,751	6,435

8. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	მიწა და შენობა- ნაგებობები	ელექტროენერგიის მწარმოებელი ერთეული	მანქანა-დანადგარები	სათადარიგო ნაწილები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სხვა	სულ
თვითღირებულება ან დასაშვები საწყისი ღირებულება							
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	7,429	468,193	4,512	32,076	63	3,646	515,919
შესყიდვები	-	2,018	7	4,202	-	107	6,334
ჩამოწერები და გასვლები	-	(229)	-	(829)	-	(86)	(1,144)
გადაცემები	-	2,037	33	(2,327)	-	257	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	7,429	472,019	4,552	33,122	63	3,924	521,109
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	7,429	472,019	4,552	33,122	63	3,924	521,109
შესყიდვები*	1,199	1,279	40	5,146	4,665	23	12,352
ჩამოწერები და გასვლები	-	-	-	(495)	-	(129)	(624)
გადაცემები	-	-	-	(263)	235	28	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	8,628	473,298	4,592	37,510	4,963	3,846	532,837
ცვეთა და გაუფასურების ზარალები							
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	1,545	150,636	3,038	-	-	2,448	157,667
წლის ცვეთა	313	24,277	312	-	-	317	25,219
ჩამოწერები და გასვლები	-	(229)	-	-	-	(25)	(254)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	1,858	174,684	3,350	-	-	2,740	182,632
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	1,858	174,684	3,350	-	-	2,740	182,632
წლის ცვეთა	360	25,987	298	-	-	315	26,960
ჩამოწერები და გასვლები	-	-	-	-	-	(129)	(129)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	2,218	200,671	3,648	-	-	2,926	209,463
საბალანსო ღირებულებები							
2023 წლის 1 იანვარს	5,884	317,557	1,474	32,076	63	1,198	358,252
2023 წლის 31 დეკემბერს	5,571	297,335	1,202	33,122	63	1,184	338,477
2024 წლის 31 დეკემბერს	6,410	272,627	944	37,510	4,963	920	323,374

* მიმდინარე წელს განხორციელებული შესყიდვები 2025 წელს დაგეგმილი გაზის ტურბინების კაპიტალური რემონტის სამუშაოებისთვის სათადარიგო ნაწილების შეძენას უკავშირდება.

(a) კაპიტალის ვალდებულებები და გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიერ გაწეული თბოელექტროსადგურის კაპიტალურ შეკეთებასთან და სათადარიგო ნაწილების შეძენასთან დაკავშირებული კაპიტალური ვალდებულებები შეადგენდა 12,984 ათას ლარს (2023: 15,684 ათასი ლარი).

2024 წელს, კომპანიამ თბოელექტროსადგურის სათადარიგო ნაწილების შეძენისთვის წინასწარ გადაიხადა 7,993 ათასი ლარი (2023: 5,265 ათასი ლარი).

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
საბანკო ნაშთები	43,730	8,303
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში	43,730	8,303

კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი განხილულია მე-14 შენიშვნაში.

10. კაპიტალი

(a) საწესდებო კაპიტალი

კომპანიის აშშ დოლარში დენომინირებული საწესდებო კაპიტალი, რომელიც თავდაპირველად პარტნიორთა გადაწყვეტილების მიხედვით განისაზღვრა, 104,871 ათას აშშ დოლარს შეადგენს. 2024 და 2023 წლებში, საწესდებო კაპიტალში ცვლილებები არ მომხდარა.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს ახალმა კანონმა, რომელიც ძალაში 2022 წლის 1 იანვარს შევიდა, განსაზღვრა განთავსებული კაპიტალის ვადა. 2024 წლის 31 დეკემბრისთვის და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის, კომპანიას არ მიუღია გადაწყვეტილება საწესდებო კაპიტალის განთავსებულ კაპიტალში რეკვალიფიკაციის შესახებ. შპს-ს სარეგისტრაციო მონაცემების აღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ბოლო ვადა 2026 წლის 1 აპრილით არის განსაზღვრული.

(b) დივიდენდები

კომპანიის აქციონერები უფლებამოსილი არიან მიიღონ დივიდენდები მათი გამოცხადებისას.

კომპანიის მიერ დივიდენდების გამოცხადებისა და გადახდის უნარი ექვემდებარება საქართველოში მოქმედ წესებსა და რეგულაციებს. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს შეუძლიათ გაანაწილონ დივიდენდები იმ შემთხვევაში თუ მათი მთლიანი აქტივების ოდენობა ფარავს განთავსებულ კაპიტალს დამატებული მთლიანი ვალდებულებები, როგორც ეს აღრიცხულია ფასს აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, განაწილების შედეგად.

2023 წელს კომპანიამ გამოაცხადა 58,457 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდები, ხოლო გადაიხადა 23,701 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდები. გამოცხადებული დივიდენდების დარჩენილი ოდენობა, 50,033 ათასი ლარი, აღიარებული იქნა გადასახდელი დივიდენდის სახით 2023 წლის 31 დეკემბრისთვის.

2024 წელს, კომპანიას არ გამოუცხადებია დივიდენდები. 2024 წელს, კომპანიამ გადაიხადა 46,917 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდები, რის შედეგადაც შემცირდა გადასახდელი დივიდენდი 3,069 ათასი ლარით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

11. კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს კაპიტალის საკმარისი ბაზა კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად და ბაზრის მონაწილეთა ნდობის შესანარჩუნებლად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით, კომპანიის შემოსავლებისა და მოგების მუდმივი მონიტორინგის გზით, და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით, რომლებიც ძირითადად კომპანიის საოპერაციო ფულადი ნაკადებით ფინანსდება. ამ ზომების გამოყენებით, კომპანია მოგების სტაბილურ ზრდას გეგმავს.

კომპანია არ წარმოადგენს გარედან დაკისრებული, კაპიტალის მოთხოვნების საგანს.

12. გაცემული გარანტია

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოკლევადიანი		
გაცემული გარანტია	12,623	17,828
სულ	12,623	17,828

უმრავლესობის აქციონერმა გააფორმა სასესხო ხელშეკრულება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD), დაფარვის ვადით 2031 წელი, 217 მილიონი ევროს ოდენობით ევროზონიტირების რეფინანსირების მიზნით, რომელთა დაფარვის ვადაა 2021 წლის აპრილი. 2020 წლის 30 სექტემბერს კომპანიამ, შპს "გარდაბნის თბოსადგური 2"-მა და EBRD-მა გააფორმეს საგარანტიო ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში, კომპანია და შპს "გარდაბნის თბოსადგური 2" შეთანხმდნენ, რომ ერთობლივად და ცალ-ცალკე უზრუნველყონ უმრავლესობის აქციონერის ვალდებულებები EBRD-თან დადებული სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში. საგარანტიო ხელშეკრულების მიხედვით, თუ უმრავლესობის აქციონერი არ გადაიხდის ნებისმიერ ოდენობას მისი დაფარვის ვადის დადგომისას სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში ან მასთან დაკავშირებით, გარანტები დაუყოვნებლივ გადაიხდიან აღნიშნულ ოდენობას მოთხოვნისას იმგვარად თითქოს ისინი წარმოადგენენ ძირითად მევალეებს და არა მხოლოდ თავდებებს.

რადგან კომპანიამ გასცა გარანტია უმრავლესობის აქციონერზე ანაზღაურების გარეშე, გარანტია აღირიცხა, როგორც განაწილება უმრავლესობის აქციონერზე, მისი სამართლიანი ღირებულებით. გარანტია აღიარებულ იქნა სამართლიანი ღირებულებით 2020 წლის 30 სექტემბრისთვის, ხოლო შემდგომ შეფასდა თავდაპირველ სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული საგარანტიო შემოსავალი, გამოთვლილი თავდაპირველი აღიარების შემდგომ გასულ დროზე მიკუთვნებადი ოდენობის პროპორციულად) და სავარაუდო საკრედიტო ზარალს შორის უდიდესით.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, მშობელ კომპანიას დარღვეული ჰქონდა EBRD-თან დადებული სასესხო ხელშეკრულებით შეთანხმებული გარკვეული ფინანსური და არაფინანსური კოვენანტები, რამაც გამსესხებელს სესხის მოთხოვნისთანავე დაფარვის მოთხოვნის უფლება მისცა.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, თავდაპირველ სამართლიან ღირებულებას გამოკლებული საგარანტიო შემოსავალი აჭარბებდა გარანტიაზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. კომპანიის დაქვემდებარება გაცემულ გარანტიასთან დაკავშირებულ საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკებზე წარმოდგენილია მე-14 შენიშვნაში.

(a) გაცემული გარანტიის ამორტიზებული ღირებულების ცვლილება

'000 ლარი	2024	2023
ნაშთი 1 იანვარს	17,828	22,630
გაცემული გარანტიის ამორტიზებული ღირებულების ცვლილება	(4,959)	(5,267)
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა	(246)	465
ნაშთი 31 დეკემბრის	12,623	17,828

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20,208	14,302
ვალდებულებები გრძელვადიანი აქტივებისთვის	6,855	3,039
	27,063	17,341

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებული სავალუტო და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარება განხილულია მე-14 შენიშვნაში.

14. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(a) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოება. თუმცა, განუსაზღვრელობებიდან და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკების გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანს წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს შეფასების თარიღისთვის, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებულ ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილ ფასს. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ანგარიშდება ძირითადი თანხის და პროცენტის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის პროცენტის საბაზრო განაკვეთით დისკონტირდება.

კომპანიის სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება გონივრულად არის მიახლოებული მათ სამართლიან ღირებულებებთან.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად კომპანია შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 14(b)(i));
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა 14(b)(ii));
- საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა 14(b)(iii)).

ხელმძღვანელობას აკისრია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის პირობებისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით კომპანიის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

საზედამხედველო საბჭო ზედამხედველობას უწევს, თუ როგორ აკონტროლებს ხელმძღვანელობა კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკებთან და პროცედურებთან შესაბამისობას და განიხილავს რისკების მართვის ჩარჩოების ადეკვატურობას იმ რისკებთან მიმართებაში, რომლის წინაშეც დგას კომპანია.

(i) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ზარალის რისკს, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაპენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელმწიფოებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი ძირითადად წარმოიშვება კომპანიის კლიენტების მიმართ არსებულ მოთხოვნებთან, გაცემულ გარანტიებთან და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებთან მიმართებაში.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ყველაზე დიდ საკრედიტო რისკს.

'000 ლარი	შენიშვნა	საბალანსო ღირებულება	
		31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		40,039	40,497
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	43,730	8,303
		83,769	48,800

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის საკრედიტო რისკი ძირითადად განპირობებულია თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლებით. თუმცა, ხელმძღვანელობა ასევე ითვალისწინებს ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ კომპანიის კლიენტთა ბაზის საკრედიტო რისკზე, მათ შორის იმ ინდუსტრიის და ქვეყნის დეფოლტის რისკს, რომელშიც საქმიანობენ მომხმარებლები. 2024 წლის განმავლობაში, კომპანიის შემოსავლის დაახლოებით 84% (2023: 87%) უკავშირდება ორ კლიენტთან განხორციელებულ გაყიდვის ოპერაციებს.

მომხმარებელთა საკრედიტო რისკის მონიტორინგის დროს, მომხმარებლები ჯგუფდებიან მათი საკრედიტო მახასიათებლების მიხედვით, მათ შორის, ასაკობრივი პროფილი, დაფარვის ვადა და წარსულში არსებული ფინანსური სირთულეები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებით ზოგადად არ მოითხოვება რაიმე სახის უზრუნველყოფა.

მაქსიმალური საკრედიტო რისკი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში საანგარიშგებო თარიღისთვის, გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით იყო შემდეგი:

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ადგილობრივი	40,039	40,497
	40,039	40,497

2023 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი მომხმარებელი შეადგენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულების 36,541 ათას ლარს (31 დეკემბერი 2022: 31,214 ათასი ლარი).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება კორპორატიული მომხმარებლებისთვის

კომპანია ანაწილებს თითოეულ დაქვემდებარებას საკრედიტო რისკის ხარისხზე ზარალის რისკის პროგნოზირებასთან დაკავშირებულ მონაცემებზე დაყრდნობით (გარე შეფასებები, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებები, მმართველობითი ანგარიშები და ფულადი ნაკადების პროგნოზები და ხელმისაწვდომი პრეს ინფორმაცია მომხმარებლების შესახებ (და არა მხოლოდ)) და მომხმარებლის ქცევასთან დაკავშირებით გამოცდილი საკრედიტო განსჯის გამოყენებით. საკრედიტო რისკის ხარისხები განისაზღვრება ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების გამოყენებით, რომლებიც მიანიშნებს დეფოლტის რისკზე და შესაბამისობაშია სააგენტოების გარე საკრედიტო რეიტინგის განმარტებებთან.

შემდეგი ცხრილი მოიცავს ინფორმაციას საკრედიტო რისკზე დაქვემდებარებისა და კლიენტების მიმართ სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესახებ, 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2024
მომხმარებლის საკრედიტო რისკის ხარისხი	არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული	საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
დაბალი რისკი (დონე 1)	40,188	-	40,188
მაღალი რისკი (დონე 3)	-	7,223	7,223
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება	40,188	7,223	47,411
ზარალის რეზერვი	(149)	(7,223)	(7,372)
	40,039	-	40,039

'000 ლარი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2023
მომხმარებლის საკრედიტო რისკის ხარისხი	არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული	საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
დაბალი რისკი (დონე 1)	39,055	-	39,055
მაღალი რისკი (დონე 3)	-	4,898	4,898
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება	39,055	4,898	43,953
ზარალის რეზერვი	-	(3,456)	(3,456)
	39,055	1,442	40,497

კომპანია ანაწილებს თითოეულ დაქვემდებარებას საკრედიტო რისკის ხარისხზე ზარალის რისკის პროგნოზირებასთან დაკავშირებულ მონაცემებზე დაყრდნობით (გარე შეფასებები, ინფორმაცია კონტრაქტების პოტენციურ ფინანსურ სირთულეებზე და ვადაგადაცილებულ დღეებზე (და არა მხოლოდ)) და გამოცდილი საკრედიტო განსჯის გამოყენებით.

რეზერვის ანგარიში სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში გამოიყენება გაუფასურების ზარალის აღრიცხვის მიზნით, მანამ სანამ აღდგენის ყველა შესაძლებლობა არ იქნება ამოწურული; ამ დროს ოდენობები ჩამოიწერება პირდაპირ ფინანსური აქტივის საპირწონედ. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთები დაბალი და მაღალი რისკის მქონე კლიენტების მიმართ არის. სავაჭრო მოთხოვნები დაბალი რისკის მქონე კლიენტების მიმართ არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული და სრულად იქნება ამოღებული. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მაღალი რისკის მქონე კლიენტების მიმართ 360 დღეზე მეტით არის ვადაგადაცილებული, შესაბამისად კომპანიას ნაშთის 100%-ის რეზერვი აქვს შექმნილი. შედეგად, 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, რეზერვი აღიარდება მოთხოვნების 100%-ისთვის (31 დეკემბერი 2023: 71%).

წლის განმავლობაში, გაუფასურების რეზერვში მოძრაობა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში იყო შემდეგი:

'000 ლარი	2024	2023
ნაშთი 1 იანვარს	3,456	2,741
ზარალის რეზერვის წმინდა გადაფასება	3,916	715
ნაშთი 31 დეკემბერს	7,372	3,456

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

კომპანია, როგორც წესი, ფულად სახსრებს კარგი საკრედიტო შეფასების მქონე ბანკებში ინახავს. 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საბანკო ნაშთების 100%-ი ინახება ქართულ ბანკებში მოკლევადიანი დეფოლტ რეიტინგით B, შეფასებული Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ. ყველა ნაშთი კლასიფიცირებულია 1-ელ დონეში. კომპანია არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაქტის ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

გაცემული გარანტია

კომპანია ასევე ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც გაცემული ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებიდან წარმოიშობა. 2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, მშობელ კომპანიას დარღვეული ჰქონდა სასესხო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული გარკვეული ფინანსური და არაფინანსური კოვენანტები (იხ. შენიშვნა 12), მაშასადამე "დეფოლტის ალბათობა" 100%-ით განისაზღვრა.

ხელმძღვანელობის შეფასებით, 2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, თავდაპირველ სამართლიან ღირებულებას გამოკლებული საგარანტიო შემოსავალი აჭარბებდა გარანტიაზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. აღნიშნული შეფასება დამყარებული იყო საქართველოს მთავრობისგან მიღებულ მხარდაჭერის წერილზე, რომელშიც ის აცხადებს, რომ ახლო მომავალში, აქვს სურვილი უზრუნველყოს ფინანსური მხარდაჭერა, რაც აუცილებელია, რომ ჯგუფმა და ჯგუფში არსებულმა თითოეულმა ინდივიდუალურმა კომპანიამ შეძლოს მისი საქმიანობის გაგრძელება. ასევე, ჯგუფი სესხის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად დაფარვისთვის საკმარის ფულადი სახსრების ნაკადებს გამოიმუშავებს. მაშასადამე, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გონივრულად სარწმუნოა, რომ გამსესხებელი არ გამოიყენებს მის უფლებას მოითხოვოს დაუფარავი სესხის მთლიანი ოდენობის ნაადრევი დაფარვა (იხ. შენიშვნა 2(b)).

ზემოაღნიშნულის მიხედვით, ჯგუფში შემავალ ყველა გარანტზე მიკუთვნებადი "მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი" დაახლოებით 10%-ით განისაზღვრა. აღნიშნული გარანტების ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის 54%-ს სხვა გარანტები, ჯგუფის წევრები, დაფარავენ. 2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიაზე მიკუთვნებადი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის 20%-ით ზრდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარანტიის საბალანსო ღირებულებასთან ტოლობას ან მასზე მეტობას არ გამოიწვევდა.

(ii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია სირთულეებს შეხვდება იმ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც დაკმაყოფილებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდების გზით. კომპანიის მიდგომა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით მოიცავს, შემდგომში დაგეგმვად იმის უზრუნველყოფას, რომ მას ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დროულად შესასრულებლად, როგორც ნორმალურ, ისე - სტრესულ ვითარებაში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

კომპანია უზრუნველყოფს, რომ მოთხოვნისთანავე ჰქონდეს 3 თვის მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯებისა და ფინანსური ვალდებულებების შესრულებისთვის საჭირო ფულადი სახსრები. ეს გამორიცხავს პოტენციურ, ექსტრემალური ვითარებებით მიყენებულ დარტყმებს, რომელთა წინასწარ განსაზღვრაც შეუძლებელია; ამგვარი ვითარებები მოიცავს სტიქიურ უბედურებებს.

ლიკვიდურობის რისკზე დაქვემდებარება

ქვემოთ მოცემულია საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი სახელშეკრულებო ვადიანობა. თანხები წარმოდგენილია ბრუტო და არადისკონტირებული ფორმით და მოიცავს პროცენტის მოსალოდნელ გადახდებს და გამორიცხავს ურთიერთგადაფარვის ხელშეკრულებების გავლენას.

31 დეკემბერი 2024

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	12 თვეზე ნაკლები	1-3 წლამდე
გადასახდელი დივიდენდები	3,069	3,069	-	3,069	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	27,063	27,063	-	27,063	-
	30,132	30,132	-	30,132	-
გაცემული ფინანსური გარანტია (შენიშვნა 12)	430,236	430,236	430,236	-	-

31 დეკემბერი 2023

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	12 თვეზე ნაკლები	1-3 წლამდე
გადასახდელი დივიდენდები	50,033	50,033	-	50,033	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17,341	17,341	-	17,341	-
	67,374	67,374	-	67,374	-
გაცემული ფინანსური გარანტია (შენიშვნა 12)	499,546	499,546	499,546	-	-

არ არის მოსალოდნელი, რომ დაფარვის ვადების ანალიზში შესულ ფულად ნაკადებს ადგილი ექნებათ არსებითად ადრე, ან არსებითად განსხვავებული ოდენობებით, გაცემული ფინანსური გარანტიების გარდა.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, გაცემული ფინანსური გარანტიების დაუფარავი ოდენობები წარმოადგენს მაქსიმალურ სააღრიცხვო ზარალს, რომელიც იქნებოდა აღიარებული საანგარიშგებო თარიღისთვის თუ კონტრაქტები ვერ დააკმაყოფილებდნენ მათ სახელშეკრულებო ვალდებულებებს. შესაბამისად, ზემოთ წარმოდგენილი მთლიანი დაუფარავი სახელშეკრულებო ვალდებულებები, არ წარმოადგენს თანხის აუცილებლად გადინების ვალდებულებას, ვინაიდან აღნიშნულს შეიძლება ვადა გაუვიდეს ან იქნეს შეწყვეტილი კომპანიის მხრიდან დაფინანსების გარეშე.

(iii) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლითი კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ფასების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს იმდენად, რამდენადაც არსებობს შეუსაბამობა იმ ვალუტებს შორის, რომლებშიც დენომინირებულია შესყიდვები და კრედიტები და კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტას შორის. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი. ვალუტები, რომლებშიც ძირითადად დენომინირებულია ეს ოპერაციები არის აშშ დოლარი და ევრო.

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

კომპანიის დაქვემდებარება უცხოურ სავალუტო რისკზე იყო შემდეგი:

'000 ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2024	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2023	ევროში დენომინირებული 31 დეკემბერი 2024	ევროში დენომინირებული 31 დეკემბერი 2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	2	-	-
გარანტია	-	-	(12,623)	(17,828)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(6,859)	(2,924)	-	(69)
წმინდა დაქვემდებარება	(6,859)	(2,922)	(12,623)	(17,897)

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

	საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სპოტ-კურსი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სპოტ-კურსი	
ლარში	2024	2023	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აშშ დოლარი	2.7208	2.6279	2.8068	2.6894
ევრო	2.9440	2.8416	2.9306	2.9753

მგრძნობელობის ანალიზი

31 დეკემბრის მდგომარეობით, ლარის კურსის გონივრული შესაძლო შესუსტება, ქვემოთ წარმოდგენილის შესაბამისად, აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში იმოქმედებდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალზე და მოგებაზე ან ზარალზე ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით. ანალიზი იყენებს დაშვებას, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩება და ის გამორიცხავს პროგნოზირებული ყიდვა-გაყიდვების ნებისმიერ გავლენას.

'000 ლარი

მოგება ან ზარალი და კაპიტალი

31 დეკემბერი 2024

აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)

(686)

ევრო (10%-იანი მოძრაობა)

(1,262)

31 დეკემბერი 2023

აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)

(292)

ევრო (10%-იანი მოძრაობა)

(1,790)

31 დეკემბრისთვის, ლარის კურსის გამყარებას აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში ექნებოდა იგივე ოდენობის, მაგრამ საპირისპირო გავლენა, იმ დაშვებით რომ ყველა სხვა ცვლადი უცვლელი დარჩება.

15. პირობითი ვალდებულებები

(a) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების პროცესშია და მსოფლიოს სხვა ნაწილებში მოქმედი სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა ჯერ ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ აქვს სრული სადაზღვევო ანაზღაურება მისი საწარმოო მოწყობილობების, საქმიანობის შეწყვეტის ან მესამე პირის ვალდებულებებზე ქონების ან გარემოს დაზიანებასთან მიმართებაში, რომელიც წარმოიშობა კომპანიის ქონებასთან ან მის ოპერაციებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევებიდან. სანამ არ მოხდება კომპანიის სათანადოდ დაზღვევა, იარსებებს რისკი იმისა, რომ კონკრეტული აქტივების დაკარგვა ან განადგურება არსებით უარყოფით გავლენას იქონიებს კომპანიის საოპერაციო და ფინანსურ მდგომარეობაზე.

(b) სასამართლო დავა

საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, კომპანია დაქვემდებარებულია სარჩელებსა და საჩივრებს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოცემული სარჩელებიდან და საჩივრებიდან წარმოშობილ საბოლოო ვალდებულებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა კომპანიის მომავალი ოპერაციების შედეგებზე ან ფინანსურ მდგომარეობაზე.

(c) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ცვლილებები, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ განსაზღვრულად, სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებებში საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო დიდი ხნით დარჩეს ღია.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის ინტერპრეტაციისაგან და მათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ საგადასახადო ორგანო შესძლებს საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირებას.

16. დაკავშირებული მხარეები

(a) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

კომპანიის უმრავლესობის აქციონერი არის სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“, ხოლო უმცირესობის აქციონერი არის სს „საქართველოს რკინიგზა“. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა საქართველოს მთავრობა.

კომპანიის აქციონერები გამოსცემენ საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას.

(b) ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

(i) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია დასაქმებულთა გასამრჯელოების ხარჯების კატეგორიაში:

'000 ლარი	2024	2023
ხელფასები და ბონუსები	949	810
	949	810

კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის რამდენიმე წევრი საბოლოო მშობელი კომპანიის დონეზე ანაზღაურდება.

(c) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

'000 ლარი	გარიგების ღირებულება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის		დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბერს	
	2024	2023	2024	2023
საქონლისა და მომსახურების გაყიდვა:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	107,611	108,410	21,083	23,513
საქონლისა და მომსახურების შესყიდვა:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები	3,966	3,737	3,763	3,678
მიღებული სესხები:				
უმრავლესობის აქციონერი	-	(61,775)	-	-

2023 წელს, კომპანიამ სრულად დაფარა უმრავლესობის აქციონერისგან აღებული სესხი. 2023 წელს, უმრავლესობის აქციონერისგან აღებულ სესხთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი 3,023 ათას ლარს შეადგენს.

2024 წელს, გაცემული გარანტიის ამორტიზებული ღირებულების ცვლილების 4,959 ათასი ლარის ოდენობით გავლენა (2023: 5,267 ათასი ლარი) აღიარებულ იქნა უმრავლესობის აქციონერზე გაცემულ გარანტიასთან მიმართებაში (იხ. შენიშვნა 12).

(d) ოპერაციები მთავრობასთან

კომპანია ყოველდღიურ საქმიანობას ახორციელებს რიგ საწარმოებთან, რომლებიც კონტროლდება ან ერთობლივად კონტროლდება საქართველოს მთავრობის მიერ ან იმყოფება ამ უკანასკნელის მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ. კომპანიამ მიიღო ბასს 24-ის (დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები) გათავისუფლების გამოყენების გადაწყვეტილება, რომელიც სამთავრობო უწყებებთან განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების შემცირებული სახით წარდგენის საშუალებას იძლევა. მთავრობასთან დაკავშირებულ საწარმოებთან განხორციელებული ყველა მნიშვნელოვანი ოპერაცია წარმოდგენილია ზემოთ.

17. შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

18. არსებითი ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ

ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

ქვემოთ განსაზღვრულია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომელთა შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია შემდეგ გვერდებზე:

(a) შემოსავალი	27
(b) ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები	28
(c) უცხოური ვალუტა	28
(d) მარაგები	29
(e) ძირითადი საშუალებები	29
(f) ფინანსური ინსტრუმენტები	30
(g) გაუფასურება	32
(h) გაცემული გარანტია	35

(a) შემოსავალი

ინფორმაცია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკებზე, რომლებიც მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს უკავშირდება წარმოდგენილია შენიშვნაში 6.

(b) ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო შემოსავალი
- საპროცენტო ხარჯი
- უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე;

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

„ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო სამომავლო ფულად გადახდებს ან შემოსულობებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის მიხედვით:

- ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე; ან
- ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე;

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის გამოთვლისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის გაუფასურებული საკრედიტო რისკით) ან ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე. თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაუფასურდა საკრედიტო რისკით, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე გამოყენებით. თუ აქტივი აღარ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავლის გამოთვლა უზრუნველყოფს მთლიან საბალანსო ღირებულებაზე დათვლის მეთოდს.

(c) უცხოური ვალუტა

(i) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია კომპანიის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება კომპანიის სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას (კორექტირებული ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში) და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის, რომელიც კონვერტირებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება, გადაყვანილია კომპანიის სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით, კონვერტირებულია ოპერაციის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტირებით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(d) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება ეფუძნება "პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში" პრინციპს და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებასა და გადამუშავებაზე და სხვა დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია მარაგების მოცემულ ადგილსა და მოცემულ მდგომარეობაში მოსაყვანად. წარმოებული მარაგების და დაუსრულებელი სამუშაოს შემთხვევაში, თვითღირებულება მოიცავს წარმოების ზედნადები ხარჯების შესაბამის წილს, ჩვეულებრივი საოპერაციო სიმძლავრის საფუძველზე.

საქმიანობის ჩვეულებრივად მიმდინარეობის პირობებში, წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ გაყიდვის ფასს, გამოკლებული სავარაუდო დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

(e) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისაგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის ღირებულების კაპიტალიზაციის, აქტივის დემონტაჟის, მოცილების და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზდება ძირითადი საშუალების ღირებულების ნაწილის სახით.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილებს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება როგორც ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულები (ძირითადი კომპონენტები). გაზის ტურბინის ფრთების ძირითადი კაპიტალური რემონტი, რომელიც შეფასებულია 20,452 ათასი ლარით და წარმოდგენილია ელექტროენერგიის მწარმოებელ ერთეულში და მოსალოდნელია, რომ უნდა ჩატარდეს ყოველ 5 წელიწადში ერთხელ, აღირიცხება, როგორც ცალკე კაპიტალური რემონტის კომპონენტი და ცვეთა ერიცხება ძირითადი აქტივისგან განცალკევებით.

ძირითადი საშუალების ერთეულის გაყიდვიდან მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობისა და მისი საბალანსო ღირებულების შედარებით და აღიარდება წმინდა სახით მოგებაში ან ზარალში სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯების ფარგლებში.

(ii) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არსებობს ალბათობა იმისა, რომ დანახარჯთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება.

მრავალწლიანი კაპიტალური რემონტის პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯები კაპიტალიზდება, როგორც ცალკე კაპიტალური რემონტის კომპონენტი და ცვეთა ერიცხება ძირითადი აქტივისგან განცალკევებით; ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზა მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან ორგანიზაციის შიგნით შექმნილი აქტივებისთვის, იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი დასრულდება და გამოსაყენებლად მზად იქნება. ცვეთა ანგარიშდება აქტივის თვითღირებულებიდან, რომელსაც გამოკლებული აქვს მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულება.

ცვეთა, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ნიმუშს.

მნიშვნელოვანი, ძირითადი საშუალებების ერთეულების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები, მიმდინარე და შესადარის პერიოდებში, შემდეგია:

– შენობა-ნაგებობები	10-25 წელი;
– ელექტროენერგიის მწარმოებელი ერთეული	10-25 წელი;
– ძირითადი კაპიტალური რემონტის ხარჯები	5 წელი;
– მანქანა-დანადგარები	2-25 წელი;
– სხვა	2-15 წელი;

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაიხედება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

(f) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება მათი წარმოშობის თარიღში. ყველა სხვა ფინანსური აქტივის და ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხორციელდება გარიგების თარიღისთვის, როდესაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვერი მხარე.

ფინანსური აქტივი (თუ ის არ არის სავაჭრო მოთხოვნა არსებითი საფინანსო კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება, თავდაპირველად შეფასებულია სამართლიან ღირებულებას დამატებული (არა სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ერთეულისთვის) მის შემენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი საფინანსო კომპონენტის გარეშე თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით.

(ii) კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე, როგორც ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიციები სავალო ინსტრუმენტებში; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კომპანია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი საანგარიშგებო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითადი დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება, ამორტიზებული ღირებულებით.

აღნიშნული ფინანსური აქტივები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზებული ღირებულება შემცირებულია გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და შემოსულობა და ზარალი

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება - ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის არის სავაჭროდ გამიზნული, წარმოებულია ან გამიზნულია ესეთად პირველადი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა ამონაგებით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობები და ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და კომპანია არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე კონტროლს.

კომპანია დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც მის სახელშეკრულებო ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან ვადა გასდის. კომპანია ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები არის მოდიფიცირებული და მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად განსხვავდება, რა შემთხვევაშიც მოდიფიცირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი გადაცემული არაფულადი აქტივების და ნაკისრი ვალდებულებების ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iv) ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

(g) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები და სახელშეკრულებო აქტივები

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ზარალის რეზერვებს აღიარებს:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე;
- სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებულ ინვესტიციებზე სავალო ინსტრუმენტებში; და
- სახელშეკრულებო აქტივებზე.

კომპანია აფასებს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით, შემდეგი შემთხვევების გარდა, როდესაც ფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სასესხო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც საანგარიშგებო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი; და
- სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომელთათვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ზარალის რეზერვები სავაჭრო მოთხოვნებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი ზედმეტი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

კომპანია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს, როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ, როდესაც:

- არ არის სავარაუდო, რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს კომპანიის მიმართ, კომპანიის მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ესეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 90 დღეზე მეტია ვადაგადაცილებული.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშობა ნებისმიერი შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი, რომელიც წარმოიშობა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევებისგან (ან უფრო მოკლე ვადაში თუ ფინანსური ინსტრუმენტის მოხმარების ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო ზარალების ალბათობით შეწონილი შეფასება. საკრედიტო ზარალი ფასდება ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულებით (ანუ სხვაობა ორგანიზაციიდან ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, კომპანია აფასებს გაუფასურდა თუ არა საკრედიტო რისკით ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდები. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია საკრედიტო რისკით“, როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ მოვლენას ჰქონდა ადგილი.

მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია საკრედიტო რისკით, მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- ემიტენტის ან მსესხებლის არსებითი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად, დეფოლტი ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- კომპანიის მიერ წინსწრების ან სესხის რესტრუქტურისა იმ პირობებით, რომლებსაც კომპანია სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- ფინანსური სირთულეების გამო ფასიანი ქაღალდების აქტიური ბაზრის გაქრობა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების ზარალის რეზერვი, აკლდება აქტივების მთლიან საბალანსო ღირებულებას.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება, როდესაც კომპანიას არ გააჩნია ფინანსური აქტივის მთლიანად ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული მოლოდინი. კომპანია ინდივიდუალურად აფასებს ჩამოსაწერ ოდენობას და ვადებს, იმის მიხედვით არის თუ არა გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მოხერხდება თანხის ამოღება. კომპანია აღარ ელის მნიშვნელოვანი ოდენობის ამოღებას ჩამოწერილი თანხიდან. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება მაინც გახდეს სააღსრულებლო საქმიანობის საგანი იმისათვის, რომ მოვიდეს კომპანიის თანხების ამოღების პროცედურებთან შესაბამისობაში.

(ii) არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფულადი შემოძინებებისგან.

კომპანიის კორპორატიული აქტივები არ ქმნიან ცალკეულ ფულადი ნაკადების შემოძინებებს და გამოყენებიან ერთზე მეტი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მიერ. კორპორატიული აქტივები განაწილებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე დასაბუთებულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შემოწმების ნაწილის სახით რომელსაც კორპორატიული აქტივი მიეკუთვნება.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით), რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის მოსალოდნელ ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება თავდაპირველად ნებისმიერი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) გუდვილის საბალანსო ღირებულებაზე და ამცირებს მას და შემდეგ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებაზე პროპორციულობის პრინციპით და ამცირებს მას.

გუდვილის გაუფასურების ზარალი არ არის აღდგენადი. სხვა აქტივებთან მიმართებაში, წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის იმის თაობაზე, შემცირდა თუ არა ზარალი ან კვლავაც არსებობს თუ არა ზარალი. გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ცვლილებას ანაზღაურებადი ღირებულებას განსაზღვრებაში გამოყენებულ შეფასებებში. გაუფასურების ზარალი აღდგენილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რაც იქნებოდა განსაზღვრული (ცვეთის ან ამორტიზაციის გამოკლებით) გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

(h) გაცემული გარანტია

ფინანსური გარანტიები წარმოადგენს ხელშეკრულებებს, რომლის მიხედვითაც კომპანიას მოეთხოვება კონკრეტული გადახდების განხორციელება, რათა მფლობელს აუნაზღაუროს ზარალი, რომელსაც ის გასწევს რადგან კონკრეტული მევალე ვერ ახერხებს გადახდის განხორციელებას მისი ვადის დადგომის დროს, სასესხო ინსტრუმენტის პირობების შესაბამისად.

გაცემული ფინანსური გარანტიები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით. შემდგომ, ისინი ფასდება შემდეგნაირად: ფასს 9-ის მიხედვით განსაზღვრულ ზარალის რეზერვსა და თავდაპირველ სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული თავდაპირველი აღიარების შემდეგ გასულ დროზე მიკუთვნებადი ოდენობის პროპორციულად დათვლილი შემოსავალი) შორის უდიდესით.

19. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც 2024 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა კომპანიას ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შესწორებული სტანდარტები მიღებული წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას. მოსალოდნელია, რომ ქვემოთ წარმოდგენილი ახალი და შესწორებული სტანდარტები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 18 წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში
- გაცვლის საშუალების არარსებობა (ბასს 21-ის შესწორებები)
- ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება (ფასს 9-ის და ფასს 7-ის კორექტირებები)

შპს გარდაბნის თბოსადგური

მმართველობის ანგარიშგება

2024წ 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი

საქმიანობის მიმოხილვა	3
კომპანიის განვითარების გეგმები	4
კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	6
საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	7
დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ	9
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	9
ფუნქციონირებადი საწარმო	10
გარემოს დაცვითი ღონისძიებების მიმოხილვა	11
დასკვნის ბოლო გვერდი	13

1. საქმიანობის მიმოხილვა

შპს გარდაბნის თბოსადგური, შემდგომში კომპანია, საქართველოს ელექტროსისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ის განსაკუთრებულ როლს თამაშობს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაში. კომპანია ქვეყანაში პირველი კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურია, 2+2+1 კონფიგურაციით - ორი გაზის ტურბინა სიმძლავრით 75 მგვტ თითოეული, ორი ორთქლის ქვაბ-უტილიზატორი და ერთი ორთქლის ტურბინა სიმძლავრით 80 მგვტ. სადგურის ჯამური დადგმული სიმძლავრეა 230 მგვტ. აღნიშნული ტექნოლოგია ყველაზე თანამედროვეა ამ სფეროში მსოფლიოში დღეს არსებულ ტექნოლოგიებს შორის. კომპანია ყოველწლიურად დაახლ. 1.1-1.3 მლრდ კვტ.სთ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს, რაც საქართველოს საერთო მოთხოვნის დაახლ. 10% აკმაყოფილებს. ძირითადი ნედლეულია ბუნებრივი აირი, რომლის ყოველწლიური ხარჯია დაახლ. 225-230 მლნ კუბური მეტრი. სადგურის მარგი ქმედების კოეფიციენტი 50-52%, რაც 20-22%-ით აღემატება ორთქლის და გაზის ტურბინული სადგურების მქკ-ს.

კომპანიის სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მისი ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ეკისრება გენერალურ დირექტორს, რომელიც პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. თავის მხრივ სამეთვალყურეო საბჭო შედგება თავმჯდომარის და ორი წევრისაგან. კომპანიის მმართველ რგოლს ასევე გენერალური დირექტორის მოადგილეები, ტექნიკური და ფინანსური დირექტორები წარმოადგენენ.

სადგურის მშენებლობა 2013წ დაიწყო და 2015წ ივლისში დასრულდა. მასზე დაიხარჯა დაახლ. 230 მლნ აშშ დოლარი, მთლიანად დაფინანსებული კომპანიის მფლობელების, სს საპარტნიორო ფონდისა და სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მიერ. სადგურზე დამონტაჟდა უახლესი ტექნოლოგიის General Electric-ის გაზის ტურბინები, Nooter Eriksen-ის ქვაბ-უტილიზატორები, Doosan Skoda-ს ორთქლის ტურბინა და მსოფლიოს სხვა წამყვანი კომპანიების მიერ დამზადებული თანამედროვე ენერგეტიკული და სხვა ტიპის მანქანა-დანადგარები. მშენებლობის კონტრაქტორი იყო თურქული კომპანია ჩალიკ ენერჯი.

საქართველოს მთავრობის 2015წ 14 სექტემბრის #475 დადგენილებით კომპანიას მიენიჭა გარანტირებული სიმძლავრის წყაროს სტატუსი 2040წ 01 ოქტომბრამდე, რაც საშუალებას აძლევს მას, მიიღოს გარანტირებული სიმძლავრის ტარიფით გათვალისწინებული შემოსავლები.

კომპანიის საქმიანობის სფერო რეგულირებადია, რაც სეწმეკ-ის მიერ ყოველწლიურად და/ან ყოველთვიურად ორი - გარანტირებული სიმძლავრისა და გამომუშავებული ელექტროენერგიის ტარიფების დადგენის მეშვეობით ხორციელდება. რეგულირება გამოიხატება სეწმეკ-ის მიერ ღირებულების ანაზღაურებას დაქვემდებარებული აქტივების განსაზღვრასა და მათზე

ამონაგების - კაპიტალის ღირებულების საშუალო შეწონილი მნიშვნელობის, WACC - დადგენაში. ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა 2017წ 13.54%-დან 16.4%-მდე გაიზარდა 2018-20 სამწლიან პერიოდზე, შემცირდა 15.39%-მდე 2021-23 სამწლიან პერიოდზე, ხოლო 2023წ ბოლოს სეწმეკმა დაადგინა მისი 15.71%-მდე გაზრდილი მნიშვნელობა 2024-26 სამწლიან პერიოდზე.

2. კომპანიის განვითარების გეგმები

კომპანიის მიზანია უზრუნველყოს სადგურის მზადყოფნა წელიწადში 290-300 დღის განმავლობაში და ელექტროენერგიის შეუფერხებელი გამომუშავება ქვეყნის ელექტროსისტემის მოთხოვნისამებრ, ხოლო წლის დარჩენილი დღეები მიმდინარე, საშუალო და კაპიტალური რემონტებისთვისაა განკუთვნილი. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა:

- ა) გარანტირებული სიმძლავრის მიწოდება ქვეყნის ელექტროსისტემისათვის და
- ბ) ელექტროენერგიის გამომუშავება და გაყიდვა.

აღსანიშნავია კომპანიის წარმატებული გამოცდილება რემონტებთან დაკავშირებით, რომლებიც ყოველწლიურად, მაისი-აგვისტოს პერიოდში სხვადასხვა ხანგრძლივობითა და ინტენსივობით ტარდება. ქვემოთ იხ. ძირითადი დანადგარების (გაზის და ორთქლის ტურბინები, გაზისა და ორთქლის ტურბინების გენერატორები, საწვავი გაზის კომპრესორები) რემონტების სახეობებისა და მოცულობების ცხრილი. აღნიშნულ რემონტებს ატარებენ კომპანია და მისი კონტრაქტორები.

კომპანიის ძირითადი დანადგარების რემონტების ხუთწლიანი გეგმა-გრაფიკი					
წელი	2021	2022	2023	2024	2025
კვარტალი	2-3	2-3	2-3	2-3	2-3
გაზის ტურბინა	ბოროსკოპირება + მიმდინარე	ბოროსკოპირება + მიმდინარე	ბოროსკოპირება + მიმდინარე + გაუთვალისწინებელი კაპ. შეკეთება GT12-ზე	ბოროსკოპირება + მიმდინარე	ბოროსკოპირება + კაპიტალური შეკეთება + ჰაერის კომპრესორის კაპ. შეკეთება
გაზისა და ორთქლის ტურბინების გენერატორები	კაპ. რემონტი	მიმდინარე	მიმდინარე	მიმდინარე	მიმდინარე
ორთქლის ტურბინა	კაპ. რემონტი	მიმდინარე	მიმდინარე	მიმდინარე	მიმდინარე
საწვავი გაზის კომპრესორები	კაპ. რემონტი	მიმდინარე	მიმდინარე	მიმდინარე	მიმდინარე
ძალოვანი ტრანსფორმატორების ტესტირება	შემოწმება და გაზომვები				
სტატუსი	დასრულდა	დასრულდა	დასრულდა	დასრულდა	დაგეგმილი

სადგურის ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ, 2015 წლიდან დღემდე, კომპანიამ 2016-23 წლებში განახორციელა დანადგარების რემონტები, რომლებმაც უზრუნველყვეს სადგურის საიმედო და ეფექტური მუშაობა. 2024წ ივლის-აგვისტოს პერიოდში სადგურზე წარმატებით განხორციელდა შემდეგი ძირითადი სარემონტო სამუშაოები:

- 1) გაზის ტურბინების ბოროსკოპით შემოწმება.
- 2) ორთქლის ტურბინის საყრდენი საკისრის აღდგენის მომსახურება.
- 3) ორთქლის ტურბინის საშუალო დონის ინსპექტირება და ღერძმაბრუნებელი მოწყობილობის შეკეთება.
- 4) ჰაერის კომპრესორების კაპიტალური შეკეთება.
- 5) ქვაბუტილიზატორი №№11-12-ის მკვებავი ელექტრო ტუმბოების ყოველწლიური მომსახურება.
- 6) ქვაბუტილიზატორი №№11-12-ის ჰიდროსტატიკური გამოცდა.
- 7) გაზის კომპრესორი №№1-2-ის საკისრების და მექანიკური მამჭიდროვებელის აღდგენის მომსახურება.
- 8) №№11-12 აირტურბინების გამობოლქვის გვირაბების და გამობოლქვის დიფუზორების საყრდენების ინსპექტირება/მომსახურება.
- 9) გარდაბნის თბოსადგურზე არსებული ხიდური ტიპის ამწეების, ისრიანი საავტომობილო ავტო ამწის და ტვირთის ჩასაბმელი აღჭურვილობის ტექნიკური შემოწმების მომსახურება.
- 10) სადგურის ცენტრალური განაწილებული მართვის სისტემის ყოველწლიური მომსახურების სამუშაოები.
- 11) ქვაბუტილიზატორი №№11-12-ის ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების უწყვეტი მონიტორინგის სისტემის მიმდინარე შემოწმება და დაკალიბრების სამუშაოები.
- 12) 220კვ ღია გამანაწილებლის ელ-გაზური ამომრთველების, ძაბვის ტრანსფორმატორების და დენის ტრანსფორმატორების კომპლექსური ტესტირება. (ელ. ლაბორატორიული გამოცდები)
- 13) 6,3 კვ-ის გამანაწილებელი მოწყობილობის ელ-გაზური ამომრთველების, ძაბვის ტრანსფორმატორების, დენის ტრანსფორმატორების და დაცვის და მართვის რელეების კომპლექსური ტესტირება.
- 14) მთავარი დანადგარებისა და დამხმარე სისტემის საზომი ხელსაწყოებისა და მართვადი ელემენტების ყოველწლიური მომსახურება და შეკეთების სამუშაოები.
- 15) ქიმიური საამქროს ლაბორატორიული ხელსაწყოების კალიბრაციის მომსახურება.
- 16) კირის, პოლიელექტროლიტის და რკინის ქლორიდის დოზირების ავზებს და მათი დოზირების ხაზებს ჩაუტარდათ დათვალიერება, ტექნიკური მდგომარეობის შემოწმება, გარეცხვა წყლით და გამწმენდი ხსნარით.
- 17) ფლოკულატორის, საწდომის და ნალექის ავზის დაცლა და გარეცხვა, ჩაუტარდათ დათვალიერება და ტექნიკური მდგომარეობის შემოწმება.
- 18) უკუოსმოსის მემბრანებს ჩაუტარდათ დამუშავება გამწმენდი ხსნარებით.
- 19) ულტრაფილტრებს ჩაუტარდათ დამუშავება გამწმენდი ხსნარებით.
- 20) მექანიკურ ფილტრებს - DMF-A, DMF-B და DMF-C - ჩაუტარდათ დათვალიერება, დამუშავება გამწმენდი ხსნარებით და შევსება მფილტრავი მასალით.

- 21) კათიონიტურ, ანიონიტურ და შერეულ ფილტრებს ჩაუტარდათ დათვალიერება და მფილტრავი მასალის დამატება.
- 22) გაფილტრული წყლის მარაგის 3,800 მ3 ავზის დაცლა, გახსნა, დათვალიერება, შემოწმება და გაწმენდა.
- 23) დემინერალიზებული წყლის მარაგის 300 მ3 ავზის დაცლა, დათვალიერება, ტექნიკური მდგომარეობის შემოწმება.
- 24) კონდენსატის მარაგის 100 მ3 ავზის დაცლა, დათვალიერება, გარეცხვა, შემოწმება.
- 25) ნატრიუმის ჰიდროქსიდის მარაგის 12 მ3 ავზის დაცლა, გარეცხვა, შემოწმება.
- 26) ნედლი წყლის მიმღები საკნების და სალექარების დაცლა და გაწმენდა.

ქვეყნის ენერგოსისტემის საიმედოობის შენარჩუნების და საწარმოს მიერ ელექტროენერგიის გამომუშავების დაგეგმვის მიზნით ასეთი რემონტების ჩატარების პერიოდი და ხანგრძლივობა წინასწარ თანხმდება ქვეყნის ელექტროსისტემასთან.

რემონტების ჩატარებისას კომპანია შეისწავლის მისი ძირითადი აგრეგატების ექსპლუატაციის შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში აღმოფხვრის არსებულ ხარვეზებს. მიმდინარე და კაპიტალური რემონტები უზრუნველყოფს კომპანიის სათანადო მზადყოფნას და მის ეფექტურ მუშაობას, ვინაიდან ჩვენი სადგური წამოადგენს გარანტირებული სიმძლავრის წყაროს.

3. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ქვეყნის ენერგოსისტემაში არსებული პრაქტიკის შესაბამისად კომპანია უწყვეტ რეჟიმში იღებს და გასცემს ინფორმაციას გამომუშავებული ელექტროენერგიისა და მოხმარებული ბუნებრივი აირის მოცულობის შესახებ.

კომპანია მუდმივად ვითარდება. 2022წ გაზის ტურბინა N12-ზე E10 ტიპის ჰაერის ფილტრების გაუმჯობესებული E12 ტიპის ფილტრებით ჩანაცვლებამ სადგურის მიერ ელ.ენერგიის გამომუშავება გაზარდა 3.456 მლნ კვტ-ით, ასევე შემცირდა გაზის მოხმარება 0.244 მილიონი მ3-ით და გარემოში გაიფრქვა 489 ტონით ნაკლები ნახშირორჟანგის ემისიები. ასევე, აღნიშნული ფილტრების ექსპლუატაციის მეთოდის დახვეწის და შემდგომში მწარმოებელ კომპანიასთან შეთანხმების საფუძველზე, მოხდა მათი ექსპლუატაციის ვადის გახანგრძლივება დამატებით 1 წლით, რამაც ორივე აირტურბინის ჭრილში კომპანიას დაახლ. 500 ათასი ლარის დაზოგვის საშუალება მისცა.

4. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის საქმიანობა რეგულირდება სეწმეკ-ის მიერ ორსაფეხურიანი - გარანტირებული სიმძლავრის და გაყიდული ელექტროენერგიის - ტარიფების მეშვეობით.

გარანტირებული სიმძლავრის ტარიფი წარმოადგენს კომპანიის მიერ მოგების მიღების წყაროს. იგი ანაზღაურებს რაბ-ს (რეგულირებადი აქტივების ბაზა) გამრავლებული კაპიტალის ღირებულების საშუალო შეწონილ მნიშვნელობაზე, WACC დამატებული ცვეთა და ფიქსირებული საოპერაციო ხარჯები (თანამშრომელთა ანაზღაურება, რემონტები და სხვა). გარანტირებული სიმძლავრის ტარიფი წლის განმავლობაში უცვლელია. 2024წ იგი შეადგენს 108 მლნ ლარს, ან დღიურ 370,814 ლარს, 290 დღის განმავლობაში.

გაყიდული ელ.ენერგიის ტარიფი ანაზღაურებს წარმოების ძირითად ცვლად საოპერაციო ხარჯებს (ბუნებრივი აირი და მისი ტრანსპორტირება), მოგების გარეშე. 2019წ დეკემბრიდან გაყიდული ელ.ენერგიის წარმოების ტარიფის დათვლის მეთოდი შეიცვალა და სეწმეკმა დაიწყო მისი ყოველთვიური დადგენა. მითითებული ტარიფი სალტეზე გაცემული ელ.ენერგიისა და მოხმარებული აირის რაოდენობებისა და ღირებულების გათვალისწინებით, ვალუტის კურსის ცვალებადობის მიხედვით დგინდება. 2024 წლიდან ბუნებრივი აირის ფასი გაიზარდა 143-დან 210 აშშ დოლარამდე, რამაც გამოიწვია კომპანიის ელ.ენერგიის ტარიფის დაახლ. 50%-იანი ზრდა. ყოველთვიური ტარიფების ცხრილი, 2024-25წწ:

საანგარიშო თვე	ელექტროენერგიის წარმოების ტარიფები, თეთრი/კვტსთ
იანვარი-2024	11.936
თებერვალი-2024	12.140
მარტი-2024	12.018
აპრილი-2024	12.778
მაისი-2024	-
ივნისი-2024	36.338
ივლისი-2024	-
აგვისტო-2024	12.077
სექტემბერი-2024	12.126
ოქტომბერი-2024	12.713
ნოემბერი-2024	12.826
დეკემბერი-2024	12.520
იანვარი-2025	12.447
თებერვალი-2025	12.495
მარტი-2025	12.677

ქვემოთ მოცემულია ტარიფების ინფორმაცია 2015-24 წლებისათვის:

	გარანტირებული სიმძლავრის ტარიფი, მლნ ლარი/წწ	ელ-ენერგიის წარმოების ტარიფი, თეთრი/კვტ.სთ
2015-16	132.19	6.659
9 თვე, 2017	103.17	9.056
10-12 თვე, 2017		8.056
2018	115.77	8.012
2019	115.19	8.322
2020	117.22	-
2021	122.75	-
2022	114.27	-
2023	109.76	-
2024	107.54	-
2025	97,485	-

კომპანიის სტრუქტურაში არის შემდეგი მიმართულებები:

- ტექნიკური, საინჟინრო და სამშენებლო
- ფინანსები და ბუღალტერია, კომერციული დეპარტამენტი
- შესყიდვები და ლოჯისტიკა
- იურიდიული

კომპანიის განვითარების ტემპიდან გამომდინარე, საჭიროების მიხედვით შესაძლებელია შეიქმნას ახალი სტრუქტურული ერთეული ან შეიცვალოს არსებული სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა რაოდენობა. შესაბამისი ცვლილებები მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და წარედგინება პარტნიორთა კრებას საბოლოო დასტურისათვის. კომპანია ზრუნავს თანამშრომლების უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე, რისთვისაც საკუთარი სახსრებით დაზღვეული ჰყავს ყველა თანამშრომელი და კანონმდებლობასთან შესაბამისი წესების დაცვით, წელიწადში ერთხელ ატარებს წინასაგამოცდო ტრენინგს და საკვალიფიკაციო გამოცდებს. სსიპ საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა კომპანიის ადმინისტრაციულ-ტექნიკური და ტექნოლოგიური პერსონალისთვის უსაფრთხოების ტექნიკის, ტექნიკური ექსპლუატაციის, სახანძრო უსაფრთხოების და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესების მოთხოვნების მიხედვით II, III, IV და V საკვალიფიკაციო ჯგუფების მინიჭების და სპეციალური სამუშაოების ჩატარების უფლების მინიჭების მიზნით 2024წ ჩაატარა ტრენინგები, საკვალიფიკაციო გამოცდები/ტესტირებები და გასცა სერტიფიკატები/მოწმობები კომპანიის თანამშრომლებზე.

კომპანიის საქმიანობა ექვემდებარება სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობას. 2016-24წწ კომპანიის მიერ განხორციელებული შესყიდვების ზოგადი სტატისტიკა ასეთია:

წელი	გამოცხადებული ტენდერები	ღირ-ბა, მლნ ლარი	დადებული ხელშ-ბები	ღირ-ბა, მლნ ლარი	ხელშ-ბა ტენდერის გარეშე	ღირ-ბა, მლნ ლარი
2016	93	48.4	64	32.9	211	6
2017	131	5.4	79	4.1	163	1.5
2018	77	4.8	54	4.1	189	0.9
2019	94	4.81	78	4.5	211	19
2020	44	3.5	31	3	297	8.5
2021	59	4.4	49	3.4	255	16
2022	48	3.7	42	2.8	242	6.8
2023	34	7.7	24	3.4	211	26.4*
2024	29	1.78	24	1.6	241	9.8

*დიდი სხვაობა 2022წ-თან გამოწვეულია ტურბინის ფრთების დაახლ. 6.7 მლნ აშშ დოლარიანი ხელშ-ბით

სსიპ აუდიტის სახელმწიფო ინსტიტუტის რეკომენდაციის საფუძველზე კომპანიამ მოითხოვა და 2018წ 16 თებერვლიდან უფლება მიიღო, შესყიდვები განახორციელოს სპეციალური წესის მეშვეობით, რომელიც საშუალებას აძლევს კომპანიას, ზოგიერთ შემთხვევაში წინასწარ განსაზღვროს მოსაწოდებელი მოწყობილობის მწარმოებელი.

5. დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის საქმიანობის ეკონომიკურ შედეგზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა აშშ დოლარში დენომინირებული სესხის გადაფასება. კომპანიამ 2016 წლიდან დაიწყო სს სნგკ-გან აღებული 142 მლნ აშშ დოლარის სესხის ახალი, დაჩქარებული გრაფიკით გადახდა და სრულად დაფარა იგი 2023წ დეკემბერში. შედარებისათვის იხ. ქვემოთ 2016-24წწ საქმიანობის წმინდა შედეგი და გადაფასებით მიღებული ზარალი/შემოსავალი:

წელი	გადაფასებით მიღებული მოგება/(ზარალი), მლნ ლარი	საქმიანობით მიღებული მოგება/(ზარალი), მლნ ლარი
2016	(38.5)	(7.9)
2017	10	57.5
2018	(8.2)	45.2
2019	(20.5)	25.7
2020	(35.5)	18.9
2021	13.5	76.2
2022	19	80.7
2023	1	71.3
2024	0	66.49

6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანია საქმიანობს საქართველოში. იგი დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც ხასიათდებიან განვითარებადი ბაზრის თვისებებით. კომპანიის 2024+ წლების ძირითად კომერციულ და საფინანსო რისკებს წარმოადგენს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონში და შესაბამისად „ელექტროენერგეტიკული ბაზრის წესებში“ შესული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც უნდა ამოქმედებულიყო 2021 წლის 1 ივლისიდან. აღნიშნული ცვლილებები წარმოადგენს საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებისა და შესაბამისად ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების ერთ-ერთ ვალდებულებას. ამ ცვლილებების მიხედვით საქართველოს ელექტროენერგეტიკულ და გაზის სექტორში უნდა მოხდეს ბაზრის ლიბერალიზაცია. ძირითადი ცვლილებები შეეხება ელექტროენერგეტიკულ ბაზარს, რომელიც საცალო და საბითუმო საჭიროებას უნდა მოიცავდეს. ცვლილებები შეეხება სატარიფო სისტემების გამჭვირვალედ ჩამოყალიბებას და ბუნებრივი გაზის მიწოდების, იმპორტის, ექსპორტის, მოხმარების განსახორციელებლად გაწეული, ეკონომიკურად მიზანშეწონილი ხარჯების სრულად ასახვას.

ბაზრის ახალი მოდელის მიხედვით, 2025წ 1 ივლისიდან ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე ვაჭრობა იწარმოებს „დღით ადრე“ და „დღიური (სათობრივი)“ აგრეთვე „პირდაპირი ხელშეკრულებების“ ბაზრების მეშვეობით. კომპანიის შემოსავლების წყარო სავარაუდოდ არ შეიცვლება, რადგან პირველ ეტაპზე დაგეგმილია საჯარო მომსახურეობის მექანიზმების ამოქმედება შესაბამისი დაცვის მექანიზმების დანერგვით.

7. ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანია მუშაობს ენერგეტიკის სექტორში. მისი ძირითადი საქმიანობაა გარანტირებული სიმძლავრის მიწოდება და ელექტროენერგიის წარმოება. კომპანიის EBITDA მარჯამ 2024წ შეადგინა 35% (2023წ 47%)

მენეჯმენტი თვლის, რომ მნიშვნელოვანი შემცირება საოპერაციო შემოსავალსა ან საოპერაციო ფულადი ნაკადების მოცულობაში არ არის მოსალოდნელი, რადგან კომპანიას აქვს გარანტირებული სიმძლავრის წყაროს სტატუსი 2040 წლამდე. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა გარანტირებული სიმძლავრისა და ელექტროენერგიის წარმოება. სავარაუდო საოპერაციო შემოსავლები და ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან 2023-2040 წლებში, შესაბამისად

მერყეობს 190-245 მლნ ლარისა (2024წ: 242.94 მლნ ლარი) და 70-125 მლნ ლარის (2024წ: 87.94 მლნ ლარი) ფარგლებში.

2020 წელს, კომპანიამ მის მშობელ კომპანიაზე გასცა გარანტია EBRD-ისგან აღებული სესხისთვის 2024 წლის 31 დეკემბრისთვის სესხის დაუფარავი ოდენობით 430 მილიონი ლარი. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის, EBRD-ის სესხთან დაკავშირებული გარკვეული კოვენანტები იყო დარღვეული, რამაც გამსესხებელს მისცა სესხის მოთხოვნისთანავე დაფარვის მოთხოვნის უფლება, რომლის გარანტსაც კომპანია წარმოადგენს. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებით, რომელიც ხელმძღვანელობას მიაჩნია შესაბამისი, შემდეგი მიზეზების გამო:

- მშობელი კომპანიის ხელმძღვანელობა გამსესხებელთან მოლაპარაკებების პროცესშია, რათა მოიპოვოს უფლებაზე უარის თქმის დოკუმენტი დარღვეული სესხის კოვენანტებისთვის და სესხის თავდაპირველი გრაფიკის მიხედვით დაფარვისათვის. რადგან მშობელი კომპანია და მისი შვილობილი კომპანიები, შემდგომში „ჯგუფი“, საკმარისი ოდენობით ფულადი ნაკადების შემოძინებებს გამოიმუშავენ და სესხს შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით იხდის, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გონივრულად სარწმუნოა, რომ გამსესხებელი არ გამოიყენებს მის უფლებას მოითხოვოს დაუფარავი სესხის მთლიანი ოდენობის ნაადრევი დაფარვა.
- საქართველოს მთავრობამ გამოსცა მხარდაჭერის წერილი, რომელშიც ის აცხადებს, რომ ახლო მომავალში აქვს სურვილი უზრუნველყოს ფინანსური მხარდაჭერა, რაც აუცილებელია, რომ ჯგუფმა შეძლოს მისი საქმიანობის გაგრძელება. რადგან ჯგუფი საქართველოს მთავრობისთვის სტრატეგიულ მნიშვნელობას ატარებს, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ სესხის ნაადრევი დაფარვის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს ჯგუფის მხარდაჭერას, მანამ სანამ დაფინანსების ახალი წყარო არ იქნება მოძიებული.

ზემოაღნიშნულის მიხედვით, კომპანიის ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ არ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

კომპანიაზე შესაძლოა დამატებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს შემდეგმა რისკებმა:

- საკრედიტო რისკმა
- ლიკვიდურობის რისკმა და
- საბაზრო რისკმა

ეს რისკები განხილულია კომპანიის 2024წ ფინანსურ ანგარიშგებაში.

8. გარემოს დაცვითი ღონისძიებების მიმოხილვა

კომპანიას, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსგან 2014 წლის 15 იანვარს, მიღებული აქვს 239 მგვტ სიმძლავრის აირტურბინული თბოელექტროსადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. კომპანია ექსპლუატაციაში შესვლის დღიდან იცავს აღნიშნული ეკოლოგიურ ექსპერტიზაში სამინისტროს მიერ წაყენებულ ყველა პირობას. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესაბამისად, კომპანია გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი, რომლის განახლებაც განხორციელდა 2019 წელს. კომპანია „საქართველოს კანონის, ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ და „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის“ თანახმად, ყოველწლიურად აწარმოებს და გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარადგენს დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სახელმწიფო აღრიცხვის ფორმებს. სადგურის ექსპლუატაციაში გაშვებიდან დღემდე არ დაფიქსირებულა დადგენილ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვებ ნორმებთან გადაცდენა. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ კომპანია საქართველოს მასშტაბით ერთ-ერთი იმ მცირე საწარმოთაგანია, სადაც ფუნქციონირებს უწყვეტი მონიტორინგის ემისიების სისტემა. აღნიშნული სისტემა, არადისპერსიული ინფრაწითელი სპექტრომეტრიული მონიტორინგის მეთოდის გამოყენებით უწყვეტ რეჟიმში უზრუნველყოფს ემისიების მონიტორინგს.

კომპანია უზრუნველყოფს ნარჩენების ცალ-ცალკე შეგროვებას, აღრიცხვას, დროებით უსაფრთხოდ განთავსებას და შემდგომი მართვისთვის შესაბამისი ნებართვის/გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მქონე ორგანიზაციებისთვის გადაცემას. კომპანიას ჰყავს სერთიფიცირებული გარემოსდაცვითი მმართველი, რომელიც საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის მიერ დადგენილი სახიფათო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული სპეციალური ვალდებულებების შესრულებას უზრუნველყოფს. კომპანია საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს კომპანიის ნარჩენების მართვის სამ წლიანი გეგმა. კომპანია, ყოველწლიურად ახორციელებს ნარჩენების მონაცემთა ბაზაში სახიფათო ნარჩენების ელექტრონულად აღრიცხვა-ანგარიშგებას.

კომპანიას საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) გეგმა, რომელიც განსაზღვრავს გარემოზე ზემოქმედების მონიტორინგისთვის საჭირო ღონისძიებებს. დამატებით, კომპანია

ყოველწლიურად აწარმოებს წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის სახელმწიფო სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების შევსებას და გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენას. გარდა ამისა, კომპანიას ჰყავს მაცივარაგენტებზე მომუშავე მოწყობილობის მომსახურებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სერთიფიცირებული ტექნიკოსები და კომპანია საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველწლიურად წარუდგენს მაცივარაგენტების მოხმარების სახელმწიფო აღრიცხვის ფორმას.

კომპანია ფლობს ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიას. ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის სახეობაა: „მაიონებელი გამოსხივების წყაროს სამრეწველო მიზნით გამოყენება“. შესაბამისად კომპანიას ჰყავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სერთიფიცირებული რადიაციულ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები და გააჩნია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაკალიბრებული მაიონებელი გამოსხივების მაკონტროლებელი ხელსაწყო.

კომპანია ყოველწლიურად წარუდგენს, სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს, ანგარიშს სალიცენზიო პირობების შესრულების შესახებ.

თამაზ დემინაშვილი

გენერალური დირექტორი

2 ივნისი 2025წ

კომპანიას საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) გეგმა, რომელიც განსაზღვრავს გარემოზე ზემოქმედების მონიტორინგისთვის საჭირო ღონისძიებებს. დამატებით, კომპანია ყოველწლიურად აწარმოებს წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის სახელმწიფო სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების შევსებას და გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენას. გარდა ამისა, კომპანიას ჰყავს მაცივარაგენტებზე მომუშავე მოწყობილობის მომსახურებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სერთიფიცირებული ტექნიკოსები და კომპანია საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველწლიურად წარუდგენს მაცივარაგენტების მოხმარების სახელმწიფო აღრიცხვის ფორმას.

კომპანია ფლობს ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიას. ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის სახეობაა: „მაიონებელი გამოსხივების წყაროს სამრეწველო მიზნით გამოყენება“. შესაბამისად კომპანიას ჰყავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სერთიფიცირებული რადიაციულ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები და გააჩნია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაკალიბრებული მაიონებელი გამოსხივების მაკონტროლებელი ხელსაწყო.

კომპანია ყოველწლიურად წარუდგენს, სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს, ანგარიშს სალიცენზიო პირობების შესრულების შესახებ.

თამაზ დემინაშვილი



გენერალური დირექტორი

2 ივნისი 2025წ